



03.02.2021

მოგესალმებით,

ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის მორიგ ანგარიშს წარმოგიდგენთ, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ინფლაციისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები და მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებია წარმოდგენილი.

სხვა გამოსვლებშიც აღმინიშნავს, რომ კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიოში აქამდე არნახული სახის ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. საერთაშორისო მიმოსვლის შეზღუდვამ და სხვადასხვა აკრძალვამ, მსოფლიოში, პირველ რიგში, ტურიზმის ინდუსტრია დააზარალა. უკანასკნელი წლების მანძილზე კი, საქართველოში ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი სწორედ ტურისტული ინდუსტრია იყო, რომელიც ისეთ ურთიერთდაკავშირებულ დარგებს აერთიანებს, როგორებიცაა სასტუმროები, რესტორნები, ტურისტული სააგენტოები, უძრავი ქონების ბაზარი, სხვადასხვა ტიპის მომსახურება და ა.შ. ეს ინდუსტრია, მთლიანობაში, ეკონომიკის საკმაოდ დიდ ნაწილს მოიცავს.

2020 წლის მესამე კვარტალში, პანდემიის გავრცელების შესაფერხებლად შემოღებული მკაცრი შეზღუდვები შემსუბუქდა. მეორე კვარტალთან შედარებით გაიზარდა შიდა მოხილობა და შიდა ტურისტული აქტივობა. ეკონომიკური ვარდნა, როგორც გრაფიკზე ხედავთ, მესამე კვარტალში 5.6%-მდე შემცირდა. წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს ეკონომიკურმა ვარდნამ, ჯამურად, 6.1% შეადგინა. ეკონომიკურ ზრდაში წმინდა ექსპორტის უარყოფითი წვლილი, რომლის დიდი წილი ტურიზმის ექსპორტზე მოდის, კიდევ უფრო გაიზარდა. ეს გავლენა გაზრდილმა მოხმარებამ მხოლოდ ნაწილობრივ დააბალანსა. თავის მხრივ, მოხმარების ეს მატება პანდემიით გამოწვეული შედეგების შერბილების მიზნით გაზრდილ ფისკალურ სტიმულსა და ეკონომიკის დაკრედიტების ზრდას შეიძლება დავეუკავშიროთ.

მიმდინარე პროგნოზით, 2021 წელს 4 პროცენტის ზრდაა მოსალოდნელი. წმინდა ექსპორტის უარყოფითი წვლილი შემცირდება, ხოლო ზრდის მამოძრავებელი მოხმარება იქნება.

თვალსაჩინოა, რომ ტურიზმის ექსპორტის მკვეთრმა ვარდნამ, მიმდინარე ანგარიშის ბოლო წლების პოზიტიური დინამიკის მნიშვნელოვანი გაუარესება განაპირობა. სამი კვარტალის შედეგით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობამ მთლიან შიდა პროდუქტთან 12.0%-მდე მოიმატა.

გასული წლის მაისიდან წლის ბოლომდე, როგორც მოსალოდნელი იყო, ინფლაციას კლების ტენდენცია ჰქონდა. იანვარში მოსახლეობის კომუნალური გადასახადების ნაწილის გარკვეული დროით სუბსიდირების შედეგად, ინფლაცია 2.8 პროცენტამდე შემცირდა. არსებული პროგნოზით, სხვა თანაბარ პირობებში, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 4 პროცენტის ფარგლებში შენარჩუნდება და შემდეგ მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება.

ინფლაციის დინამიკაზე მოქმედ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების მნიშვნელოვანი მატება, რომელიც განსაკუთრებით იანვარში გამოიკვეთა. ამასთან, ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა ნარჩუნდება პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გახანგრძლივების ფონზე წარმოების ხარჯების ზრდისა და გაუფასურებული კურსის გამო. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იმპორტირებულ ინფლაციასა და შუალედურ ხარჯებს ზრდის. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ, მიუხედავად შედარებით ძლიერი შიდა მოთხოვნისა, ერთობლივი მოთხოვნა საგარეო მოთხოვნის მკვეთრი კლების გამო კვლავ შემცირებულია. თუმცა, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურება ასუსტებს ერთობლივი მოთხოვნის დადმავალ გავლენას პროგნოზირებულ ინფლაციაზე.

აღნიშნული ინფლაციის პროგნოზისა და რისკების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი არსებულ, 8 პროცენტზე შევინარჩუნეთ. არსებული შეფასებით, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნებაა საჭირო და მომავალში არც საპროცენტო განაკვეთის ზრდას გამოვრიცხავთ. გასათვალისწინებელია, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის პროგნოზი არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის დაპირებას მონეტარული პოლიტიკის მომავალ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. ის ასახავს საორიენტაციო ტრაექტორიას იმ დაშვებით, რომ ეგზოგენური ფაქტორები პროგნოზში გათვალისწინებული სცენარით განვითარდება. შესაბამისად, თუკი საგარეო ან/და შიდა ფაქტორები მოსალოდნელისგან განსხვავებული იქნება, ეს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და, შესაბამისად, ეროვნული ბანკის მომავალ გადაწყვეტილებებზეც მოახდენს გავლენას.

ასევე შეგახსენებთ, რომ 2018 წლიდან ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში 3 პროცენტია. საშუალოვადიანი პერიოდისთვის ხაზგასმას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შოკები მუდმივად ხდება და ინფლაციაც თითქმის ყოველთვის განსხვავებული იქნება მიზნობრივი დონისგან: სხვადასხვა დროს ის შეიძლება იყოს მიზნობრივი მაჩვენებლის როგორც ზემოთ, ისე ქვემოთ, თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში ის ყოველთვის მიზნობრივი მაჩვენებლისაკენ იმოძრაავებს. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არ ნიშნავს ინფლაციის მაქსიმალურ დონეს ან ინფლაციის ლიმიტს. რომ დავაზუსტო, როდესაც ჩვენ

ვამბობთ, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არის 3 პროცენტი, ჩვენ არ ვგულისხმობთ ინფლაციას ნულიდან სამ პროცენტამდე, არამედ ვგულისხმობთ ინფლაციას 3 პროცენტთან ახლოს - ზოგჯერ მის ზემოთ და ზოგჯერ მის ქვემოთ, საშუალოვადიან პერიოდში. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში ფასების სტაბილურობა ყველაზე ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯებით მიიღწევა, ხოლო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა, სხვა ალტერნატიულ რეჟიმებთან შედარებით, ყველაზე მაღალი და მდგრადია.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და პროგნოზებსა და შეფასებებს მონეტარული პოლიტიკის განახლებული ანგარიშით წარუდგენს დაინტერესებულ საზოგადოებას.

გმადლობთ ყურადღებისათვის!